სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

09 დეკემბერი 2025

N 760/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „ბათუმის აეროპორტი“-ს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ბათუმის აეროპორტი“-ს მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ანგარიშის წარდგენის საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო), კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, წარმოდგენილი იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის (ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

2010 წლის 22 დეკემბერს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის საქმიანობაზე გაცემულია №86 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის საფუძველზეც, კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2019 წლის 25 ნოემბერს გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-1140). აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე 2020 წლის 27 თებერვალს, 2024 წლის 8 ოქტომბერს და 2025 წლის 11 აგვისტოს გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილებები (ბრძანებები №2-183, №573/ს, №420/ს), რომელთა საფუძველზეც დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებები გზშ-ს არ დაექვემდებარა.

შპს „ბათუმის აეროპორტი“-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი განთავსებულია ქალაქ ბათუმში, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, რომლითაც შპს „ბათუმის აეროპორტი“ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობს. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიას ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ემიჯნება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები და საცხოვრებელი სახლები, სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით – სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, ხოლო დასავლეთით – საავტომობილო გზა, სანაპირო ზოლი და შავი ზღვა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის მაქსიმალური საპროექტო წარმადობაა წელიწადში 1200000 მგზავრი. აეროპორტის ტერიტორიაზე არსებული სამრეწველო ზონის ფართობი დაახლოებით 116 ჰა-ს შეადგენს, ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის ფართობი – 150000 $მ^2$-ს, ბაქნის ფართობი – 58493 $მ^2$-ს, სამანევრო ბილიკების ფართობი – 15200 $მ^2$-ს, ხოლო მოსაბრუნებელი მოედნების ფართობი – 18239 $მ^2$-ს. აეროპორტის ტერიტორიაზე (GPS კოორდინატები: X-717656 Y-4609109) მოწყობილია საწვავით გამართვის პუნქტი/სადგური, ასევე მგზავრთა მიმღები ტერმინალის შენობა. ამასთან, აეროპორტს გააჩნია სხვადასხვა მომსახურე (მოძრავი) სატრანსპორტო საშუალებები და ტექნიკა-დანადგარები. აეროპორტი უზრუნველყოფილია ელექტრომომარაგებით, წყალმომარაგებით, გათბობით, საკანალიზაციო (ბიოლოგიური გამწმენდი) და სანიაღვრე სისტემებით და სხვა საჭირო კომუნიკაციებით.

აეროპორტის სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში 365 დღეს შეადგენს და აფრენა-დაფრენის ციკლთა რაოდენობა საჭიროებისამებრ განისაზღვრება.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, შპს „ბათუმის აეროპორტი“ გეგმავს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებას. კერძოდ, 2025 წლის 11 აგვისტოს გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილებით (ბრძანება №420/ს) აეროპორტის ტერიტორიაზე არსებული ბაქანი გაფართოვდა 8200 $მ^2$-ით, თუმცა, დეტალების დაზუსტების პროცესში გამოიკვეთა, რომ ბაქნის გაფართოება საჭიროა დამატებით 500 $მ^2$-ით. ბაქნის დამატებითი გაფართოების სამუშაოები მიმდინარე გაფართოების სამუშაოებთან ერთად ჩატარდება. ამასთან, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილება ასევე ითვალისწინებს აეროპორტის ტერიტორიაზე მდებარე საწვავით გამართვის სადგურზე, არსებული საწვავის რეზერვუარების გვერდით, დამატებით ერთი, 2400 ლიტრი მოცულობის დიზელის საწვავის მიწისზედა რეზერვუარის და ჩამოსხმის სვეტის მოწყობას. შედეგად, საწვავით გამართვის პუნქტი წარმოდგენილი იქნება 3 ერთეული მიწისზედა რეზერვუარით, რომელთაგან ერთი (1200 ლიტრი) განკუთვნილი იქნება ბენზინის, ხოლო ორი (თითოეული 2400 ლიტრი) – დიზელის საწვავისთვის. საწვავით გამართვის პუნქტზე საწვავის სავარაუდო წლიური მოხმარება იქნება 8000 ლიტრი ბენზინი და 45000 ლიტრი დიზელი. საწვავით გამართვის სადგურს გააჩნია გადახურვა, მობეტონებული იატაკი და დაღვრისგან დამცავი შემოზღუდვა. გარდა ზემოაღნიშნულისა, აეროპორტის ტერიტორიაზე დაგეგმილია საავარიო-სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის თანამშრომლებისათვის საწვრთნელი მოედნის მოწყობა (GPS კოორდინატები: X-716410 Y-4610057; X-716502 Y-4610022; X-716494 Y-4609997; X-716390 Y-4610045). აღნიშნული მოედანი დაახლოებით 2050 $მ^2$ ფართობზე განთავსდება და აღიჭურვება სახანძრო სიმულაციური მოწყობილობებით (სიმულაციური ძრავა, წყლით გაგრილების სისტემა, საწვავის ავზი და საწვავის მილი, ჯიხური მართვის პულტისთვის, მართვის პულტი, ელექტროსისტემა).

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით ასევე ზუსტდება აეროპორტის ტერიტორიაზე არსებული ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის (GPS კოორდინატები: X-716994 Y-4609704) წარმადობა და გაწმენდის ეფექტურობა. კერძოდ, გამწმენდი ნაგებობის წარმადობა 200 $მ^3$/სთ-ს ნაცვლად 200 $მ^3$/დღ-ს შეადგენს, ხოლო გაწმენდის ეფექტურობა ჟბმ$_5$-ისთვის – 45 მგ/ლ-ს ნაცვლად 25 მგ/ლ-ს, ხოლო შეწონილი ნაწილაკებისთვის – 125 მგ/ლ-ს ნაცვლად 60 მგ/ლ-ს შეადგენს. შესაბამისად, გაწმენდის შემდგომ ჩამდინარე წყლის დაზუსტებული ხარისხობრივი მაჩვენებლები იქნება: შეწონილი ნაწილაკები – 60 მგ/ლ, ჟბმ$_5$ – 25 მგ/ლ, ჟქმ – 120 მგ/ლ, საერთო აზოტი – 15 მგ/ლ, ფოსფატი – 2 მგ/ლ, PH – 6-9.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილება ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის წყალმომარაგების და წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მართვის ცვლილებას არ უკავშირდება. აეროპორტის ტერიტორიაზე არსებული ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის გაწმენდის ეფექტურობის დაზუსტებით დგინდება, რომ გამწმენდს გააჩნია ჩამდინარე წყლების უფრო მაღალი ეფექტიანობით გაწმენდის შესაძლებლობა.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილება, მისი სპეციფიკისა და მასშტაბის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებასთან დაკავშირებული არ იქნება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „ბათუმის აეროპორტი“-ს გააჩნია კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილება არსებული აეროპორტის ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ ტერიტორიაზე განხორციელდება.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, მისი სპეციფიკის, მასშტაბის და მახასიათებლების გათვალისწინებით, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებასთან დაკავშირებული არ იქნება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „ბათუმის აეროპორტი“-ს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ **გზშ-ის ანგარიშის წარდგენას არ საჭიროებს**.
2. შპს „ბათუმის აეროპორტი“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2019 წლის 25 ნოემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1140) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით.
3. შპს „ბათუმის აეროპორტი“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს:
   ა) განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე, უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შესრულება;
   ბ) განახლებული ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინსტრუმენტული გაზომვის საკითხი (მონიტორინგის სიხშირის, მონიტორინგის წერტილების GPS კოორდინატების და მიღებული შედეგების სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენის პერიოდულობის მითითებით), ხოლო მონიტორინგი განახორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად;
   გ) განახლებული ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა;
   დ) განახლებული წყალჩაშვების მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, ხოლო მონიტორინგი განახორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად;
   ე) განახლებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება.
4. შპს „ბათუმის აეროპორტი“-სთვის ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2019 წლის 25 ნოემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1140) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა.
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ბათუმის აეროპორტი“-ს.
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბათუმის აეროპორტი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

7. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/760-21-4-202512091558

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE